სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/36

ქ. თბილისი 27 ივლისი 2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) მოვალეობის შემსრულებლის 27 ივლისის №0000933704 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2023 წლის 27 ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. დამტკიცდეს ადმინისტრაციის სტრუქტურაში შესატანი ცვლილებები, კერძოდ: გაერთიანდეს სასწავლო პროცესების ადმინისტრირების ორი სტრუქტურული ერთეული უმაღლესი და პროფესიული განათლების მიმართულებით (სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ცენტრი) და შეიქმნას სასწავლო პროცესების მართვის სამსახური;
2. დამტკიცდეს სტუ-ის სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის დებულება წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**